საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუმის მღვიმოვანი

გუმის მღვიმოვანი, კარსტული მღვიმოვანი სოხუმის მუნიციპალიტეტში, სოფ. გუმის მიდამოებში, დასავლეთის გუმისთის ხეობის მარცხ. ფერდობზე. გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში. აერთიანებს ციკლგავლილ სამ მშრალ მღვიმეს. ქვედა მღვიმის შესასვლელის აბსოლ. სიმაღლეა 370 მ, შუისა – 380 მ, ზედა მღვიმისა – 450 მ. მღვიმეების სიგრძე, შესაბამისად, 90, 20 და 45 მ. ქვედა მღვიმე ერთი ვრცელი დარბაზია. მღვიმეები ერთმანეთს ვიწრო, გადაულახავი ნაპრალებით უკავშირდება.

გ. მ-ში არის კალციტის ნაირფეროვანი ნაღვენთი წარმონაქმნები (სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ფარდები, გურები, ოოლითებისა და პიზოლითების კონკრეციები და სხვ.); ქვედა მღვიმეში რამდენიმე კულტ. ფენაა.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

ზ. ტატაშიძე